USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №30
მარტი, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ლიკა ჩხეტიანი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №30 ბიულეტენს, სადაც აღწერილია მარტში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

I. საკრებულოებში თანამდებობების გადანაწილება

თანამდებობების გადანაწილების პროცესი თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასრულდა, თუმცა კვლავ შეინიშნებოდა პრობლემები ზოგიერთი საკრებულოს სრულფასოვანი ფუნქციონირების თვალსაზრისით. სენაკის საკრებულოში მოუგვარებელი დარჩა პროცედურული დავის ფონზე არჩეული თავმჯდომარის ლეგიტიმაციის საკითხი: ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ" თებერვალში მიმართა და საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის" წევრის, ირაკლი კაჭარავას არჩევა სხდომაზე კვორუმის არარსებობის საფუძვლით გაასაჩივრა.[1]

ზუგდიდის საკრებულოში თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის" წევრი გიგი ფარულავა 14 თებერვალს აირჩიეს.[2] ამის შემდეგ საკრებულოს სხდომა კვორუმის არარსებობის გამო ოთხჯერ გადაიდო.[3] სხდომის გამართვა მხოლოდ 22 მარტს გახდა შესაძლებელი.[4] თავმჯდომარის მოადგილეებიც ამავე დღეს აირჩიეს.[5]

II. 2022 წლის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო გარემო ბათუმსა და რუსთავში

ცესკოს განკარგულებით, 2 აპრილს რუსთავი-გარდაბნის საარჩევნო ოლქში - საქართველოს პარლამენტის, ხოლო ბათუმში - საკრებულოს მაჟორიტარი წევრის შუალედური არჩევნები ჩატარდება.[6] რუსთავში დეპუტატობის კანდიდატად „ქართულმა ოცნებამ" ირაკლი შატაკიშვილი დაასახე-

---

[1] ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №29, თებერვალი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 3, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xuYeyo, განახლებულია: 13.04.2022.

[2] იქვე.

[3] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OpNpUr, განახლებულია: 13.04.2022;
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 1-ლი მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xurpS0, განახლებულია: 13.04.2022;
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 11 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jJdJdM, განახლებულია: 13.04.2022;
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 16 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37dYEP3, განახლებულია: 13.04.2022.

[4] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 22 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uJtPdT, განახლებულია: 13.04.2022.

[5] იქვე.

[6] ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №29, თებერვალი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xuYeyo, განახლებულია: 13.04.2022.

ლა,[7] ხოლო ოპოზიციიდან პარტიამ „ლელო საქართველოსთვის“ პარლამენტის ყოფილი წევრი ბადრი ჯაფარიძე წარადგინა.[8] მას დეპუტატის მანდატი საქართველოს პარლამენტმა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე თებერვალში შეუწყვიტა.[9] ჯაფარიძეს მხარდაჭერა გამოუცხადა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“.[10] თუმცა, 27 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, რომლის გამოც მოქალაქეები „უკიდურესად დაზაფრულნი“ იყვნენ, საარჩევნო პროცესის წარმოება შეუძლებლად მიაჩნდა, შესაბამისად, ის რუსთავში კანდიდატურას ხსნიდა.[11] მან არჩევნების გადადებისკენ მოუწოდა მმართველ პარტიასაც.[12] „ლელო საქართველოსთვის“ საარჩევნო კამპანიიდან გამოთიშვის შემდეგ „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეებად რუსთავი-გარდაბნის საარჩევნო ოლქში ოპოზიციიდან მხოლოდ პარტია „სოციალური სამართლიანობისთვის“ კანდიდატი მამუკა ტუსკაძე და „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტიის“ წარმომადგენელი კამალ მურადხანოვი დარჩნენ.[13]

რაც შეეხება ბათუმს, აქ „ქართულმა ოცნებამ“ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოქმედი მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე წარადგინა.[14] მის მოწინააღმდეგედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბათუმის საკრებულოს გარდაცვლილი მაჟორიტარი წევრის, ნუგზარ ფუტკარაძის შვილი მათე ფუტკარაძე დასახელდა.[15] ფუტკარაძის გარდაცვალების შემდეგ ბათუმის საკრებულოში „ქართულ ოცნებას“ 16 დეპუტატი ჰყავდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ - 14, „ლელო საქართველოსთვის“ - 1, პარტია „საქართველოსთვის“ - 2, ხოლო კიდევ 1 წევრი დამოუკიდებელი დეპუტატი იყო.[16]

III. ელექტრონული არჩევნები ბათუმის მე-4 მაჟორიტარულ ოლქში

31 მარტს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2 აპრილის საქართველოს პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედური არჩევნების შესახებ ანგარიში წარადგინა,[17] რომელიც ცესკოს მიერ 1-ლი თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს შეეხებოდა.[18] ანგარიშის პრეზენტაციაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახ-

[7] „ქართულმა ოცნებამ რუსთავისა და ბათუმის შუალედური არჩევნებისთვის კანდიდატები წარადგინა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/470664, განახლებულია: 13.04.2022.

[8] „ბადრი ჯაფარიძე რუსთავის მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/473230, განახლებულია: 13.04.2022.

[9] ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №29, თებერვალი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 6-7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xuYeyo, განახლებულია: 13.04.2022.

[10] „ნაციონალური მოძრაობა რუსთავში შუალედურ არჩევნებში მხარს დაუჭერს ბადრი ჯაფარიძეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31706868.html, განახლებულია: 13.04.2022.

[11] „რუსთავსა და ბათუმში 2 აპრილს შუალედური არჩევნები ჩატარდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/482972, განახლებულია: 13.04.2022.

[12] იქვე.

[13] „საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის წარდგენილი კანდიდატები“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xv0Egc, განახლებულია: 13.04.2022.

[14] „ბადრი ჯაფარიძე რუსთავის მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/473230, განახლებულია: 13.04.2022.

[15] „რუსთავსა და ბათუმში 2 აპრილს შუალედური არჩევნები ჩატარდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/482972, განახლებულია: 13.04.2022.

[16] „რუსთავსა და ბათუმში 2 აპრილს შუალედური არჩევნები ჩატარდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/482972, განახლებულია: 13.04.2022.

[17] იქვე.

[18] „გიორგი კალანდარიშვილმა 2 აპრილის არჩევნების შუალედური ანგარიში წარადგინა“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OdK3Ub, განახლებულია: 13.04.2022.

ვილდა ბათუმის მე-4 მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების ჩასატარებლად ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებაზე.[19]

ცესკოს 25 მარტის დადგენილებასა[20] და მის დანართში[21] აღწერილია არჩევნებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე კენჭისყრის დღის პროცედურებში განხორციელებული ცვლილებები.[22] დანართის მიხედვით, კენჭისყრის პროცესში ამომრჩევლის იდენტიფიცირებისთვის ვერიფიკაციის ელექტრონული აპარატი იქნებოდა გამოყენებული.[23] აპარატში წინასწარ ჩაიტვირთებოდა შესაბამის საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლების სია.[24] რეგისტრატორი შეამოწმებდა გამოცხადებული პირისა და მის მიერ წარმოდგენილი პირადობის ელექტრონული მოწმობის ფოტოსურათის შესაბამისობას, რის შემდეგაც ამომრჩეველი პირადობის მოწმობას უკვე ვერიფიკაციის აპარატის წამკითხველში მოათავსებდა.[25] ელექტრონული ვერიფიკაციის წარმატებით გავლის შემდეგ პირი გაივლიდა მარკირებას და მიეცემოდა ხმის მიცემის შესაძლებლობა.[26] ხმის მიცემისას ამომრჩეველს ბიულეტენთან ერთად გადაეცემოდა სპეციალური ჩარჩო-კონვერტი.[27] ამომრჩეველს ბიულეტენი სპეციალური მარკერის გამოყენებით უნდა შეევსო და ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული მიეტანა საარჩევნო ყუთთან.[28] საარჩევნო ყუთზე დამონტაჟდებოდა ხმის მთვლელი აპარატი.[29] იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული მთვლელი აპარატი ბიულეტენს უკან დააბრუნებდა, ბიულეტენი გაფუჭებულად ჩაითვლებოდა, ხოლო რეგისტრატორი ამომრჩეველს ახალ ბიულეტენს გადასცემდა.[30] საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ ელექტრონული აპარატიდან ამოიბეჭდებოდა ხმის დათვლის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერი,[31] რის შემდეგაც საარჩევნო კომისია ბიულეტენების დათვლის პროცედურას დაიწყებდა.[32]

22 მარტს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესწავლის მიზნით ბათუმში ორ საარჩევნო უბანზე იმიტირებული არჩევნები ჩაატარა.[33] 2 აპრილს იმავე წესით არჩევნები ბათუმში 14 უბანზე ჩატარდება.[34]

---

[19] იქვე.

[20] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №30/2022, 2022 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uLto2N, განახლებულია: 13.04.2022.

[21] „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად“, ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37fOgX1, განახლებულია: 13.04.2022.

[22] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №30/2022, 2022 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uLto2N, განახლებულია: 13.04.2022.

[23] იქვე.

[24] „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად“, ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, გვ. 30-33, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37fOgX1, განახლებულია: 13.04.2022.

[25] იქვე.

[26] იქვე.

[27] იქვე.

[28] „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად“, ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, გვ. 30-33, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37fOgX1, განახლებულია: 13.04.2022.

[29] იქვე.

[30] იქვე.

[31] იქვე, გვ. 41.

[32] იქვე, გვ. 45-46.

[33] „ბათუმში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით იმიტირებული არჩევნები გაიმართება“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 22 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OdIFRG, განახლებულია: 13.04.2022.

[34] იქვე.

IV. „ლელო საქართველოსთვის“ და „ლეიბორისტული პარტიისთვის“ საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტა

2022 წლის 1-ლი მარტიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდა ორ ოპოზიციურ გაერთიანებას - „ლელო საქართველოსთვის“ და „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას“.[35] დაფინანსების შეწყვეტა განაპირობა, პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ პარტიათა წარმომადგენლების - ბადრი ჯაფარიძისა და შალვა ნათელაშვილისთვის დეპუტატის მანდატის შეჩერებამ.[36] პარტიების დაფინანსების ოდენობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად იყო განსაზღვრული და „ლელოსთვის“ 800 000 ლარზე მეტს, ხოლო „ლეიბორისტული პარტიისთვის“ 300 000-მდე ლარს შეადგენდა.[37] 2020 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით, „ლელოს“ პარლამენტში 4, ხოლო „ლეიბორისტულ პარტიას“ 1 მანდატი ჰქონდა.[38] „ლელოდან“ სიით არჩეულმა მამუკა ხაზარაძემ პარლამენტი საკუთარი სურვილით დატოვა.[39] ბადრი ჯაფარიძეს მანდატი სასამართლოს მიერ მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის, ხოლო შალვა ნათელაშვილს - არასაპატიო გაცდენების გამო შეუწყდა.[40] ბადრი ჯაფარიძისთვის მანდატის შეწყვეტის შემდეგ „ლელოს“ პარლამენტში მხოლოდ ორი მანდატი დარჩა, „ლეიბორისტულ პარტიას“ კი - არცერთი.[41]

პარტიებისთვის დაფინანსების შეწყვეტის გადაწყვეტილება დაეფუძნა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებას,[42] რომელიც პარლამენტმა 2021 წლის ივნისში[43] მიიღო და ძალაში 2022 წლის 1-ლი თებერვლიდან შევიდა.[44] ცვლილების მიხედვით, პარტია კარგავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას, თუ მისი წარდგენით არჩეული დეპუტატების ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადაზე ადრე შეუწყდება უფლებამოსილება და მათი ჩანაცვლება შეუძლებელი იქნება ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის გზით.[45] ამავე ცვლილების მიხედვით, პარტია 6 თვის განმავლობაში ბიუჯეტიდან დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრების ნახევარზე მეტი არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პარლამენტის პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს.[46] ზემოთ ნახსენები

---

[35] „ლელომ“ და „ლეიბორისტულმა პარტიამ“ საბიუჯეტო დაფინანსება დაკარგეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 9 მარტი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31744767.html, განახლებულია: 13.04.2022.

[36] ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №29, თებერვალი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xuYeyo, განახლებულია: 13.04.2022.

[37] „ლელომ“ და „ლეიბორისტულმა პარტიამ“ საბიუჯეტო დაფინანსება დაკარგეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 9 მარტი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31744767.html, განახლებულია: 13.04.2022.

[38] „ლელომ“ და „ლეიბორისტულმა პარტიამ“ შესაძლოა საბიუჯეტო დაფინანსება დაკარგონ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31693223.html, განახლებულია: 13.04.2022.

[39] იქვე.

[40] ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №29, თებერვალი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xuYeyo, განახლებულია: 13.04.2022.

[41] „ლელომ“ და „ლეიბორისტულმა პარტიამ“ შესაძლოა საბიუჯეტო დაფინანსება დაკარგონ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31693223.html, განახლებულია: 13.04.2022.

[42] „საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, 30-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები.

[43] „ლელომ“ და „ლეიბორისტულმა პარტიამ“ შესაძლოა საბიუჯეტო დაფინანსება დაკარგონ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31693223.html, განახლებულია: 13.04.2022.

[44] იქვე.

[45] „საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, 30-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

[46] იქვე, 30-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

პარტიების შემთხვევაში მანდატშეჩერებული დეპუტატების ჩანაცვლება შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ბოიკოტირებისას ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სათადარიგო სიები პროტესტის ნიშნად გააუქმა.[47]

საია არ ეთანხმებოდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონში შესულ ამ ცვლილებას.[48] ორგანიზაციამ ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს მიმართვაც გაუგზავნა.[49] საიას აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება პოლიტიკურ პარტიებს საშუალებას აძლევდა, თავიანთი საქმიანობა განეხორციელებინათ არა მხოლოდ არჩევნების დროს, არამედ ასევე არჩევნებს შორის პერიოდშიც, როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ.[50] სხდომების გაცდენისთვის დეპუტატებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით ისედაც ეკისრებოდათ. შესაბამისად, ამ საკითხის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შეწყვეტის წინაპირობად გამოყენება, საიას აზრით, ზედმეტად მძიმე, არაპროპორციული მეთოდი იქნებოდა, საფრთხეს შეუქმნიდა პოლიტიკური პარტიების საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას და დააზიანებდა პოლიტიკურ პლურალიზმს.[51]

კანონპროექტი უარყოფითად შეფასდა ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის 20 მარტის დასკვნითაც,[52] თუმცა მმართველმა პარტიამ ეს რეკომენდაციები არ გაითვალისწინა.[53]

V. საქართველოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე, 3 მარტს საქართველოს მთავრობამ ევროკავშირში წევრობის ოფიციალურ განაცხადს მოაწერა ხელი.[54] ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის ვიდეომიმართვაში აღნიშნა.[55] საქართველოს გადაწყვეტილებას წინ უძღოდა 28 თებერვალს უკრაინის მიერ წევრობაზე განაცხადის შეტანა.[56] საქართველომ, უკ-

[47] „თალაკვაძე ოპოზიციის „სათადარიგო სიების" აღდგენაზე: მათი შეცდომის გამოსწორებას არ ვაპირებთ", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31704509.html, განახლებულია: 13.04.2022.

[48] „საია პარლამენტის წევრებს მიმართავს, არ დაარღვიონ „შარლ მიშელის შეთანხმების" პირობები", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Eel7Y6, განახლებულია: 13.04.2022.

[49] იქვე.

[50] „მიმართვა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38U0hSk, განახლებულია: 13.04.2022.

[51] იქვე.

[52] „საია პარლამენტის წევრებს მიმართავს, არ დაარღვიონ „შარლ მიშელის შეთანხმების" პირობები", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 9 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Eel7Y6, განახლებულია: 13.04.2022.

[53] ნანუკა ყრუაშვილი, საინფორმაციო ბიულეტენი №21, ივნისი, 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 10, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KO92vl, განახლებულია: 13.04.2022.

[54] „პრემიერმა ხელი მოაწერა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 3 მარტი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31734377.html, განახლებულია: 13.04.2022.

[55] „საქართველოს პრემიერი ხელს აწერს ევროკავშირში წევრობის განაცხადს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 3 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/477269, განახლებულია: 13.04.2022.

[56] "Georgia, Moldova follow Ukraine in applying to join EU", საინფორმაციო პორტალი POLITICO, 2022 წლის 3 მარტი, ხელმისაწვდომია: https://politi.co/3uK0Eax, განახლებულია: 13.04.2022.

რაინის მსგავსად,[57] მოითხოვა აპლიკაციის დაჩქარებული წესით განხილვა.[58] საქართველოს მიერ წევრობაზე განაცხადის შეტანა და დაჩქარებული პროცედურის მოთხოვნა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდგომ შეცვლილ გეოპოლიტიკურ ვითარებას დაუკავშირა.[59]

წევრობაზე ოფიციალური განაცხადის წარდგენას მხარი ოპოზიციამაც დაუჭირა.[60] ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ნიკა მელიას განცხადებით, „მთავრობა იძულებული გახდა", ეს ნაბიჯი გადაედგა.[61] პარტია „საქართველოსთვის" ლიდერმა და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი იყო, განაცხადს ხელისუფლების მხრიდან პროცესის სწრაფად და ეფექტიანად წარმართვისთვის საჭირო ნაბიჯებიც მოჰყოლოდა.[62] ამასთანავე, მან ოპოზიციასა და ხელისუფლებას ამ პროცესში ერთიანობისკენ მოუწოდა.[63] პარტიის „ლელო საქართველოსთვის" ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ ხელისუფლების გადაწყვეტილება მარტის დასაწყისში უკრაინის მხარდასაჭერად საქართველოში მიმდინარე საპროტესტო აქციებს დაუკავშირა და ამისთვის ახალგაზრდებს მადლობა გადაუხადა.[64] პოლიტიკური მოძრაობა „დროას" ლიდერმა ელენე ხოშტარიამ ასევე ყურადღება გაამახვილა საპროტესტო გამოსვლებისა და პროცესის წარმატებაში ეროვნული თანხმობის, დემოკრატიული რეფორმების წარმატებით განხორციელების მნიშვნელობაზე.[65]

7 მარტს ვერსალში ევროკავშირის საბჭოს ოფიციალური შეხვედრის შემდეგ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიათა ხელმძღვანელებმა ევროკომისიას ოფიციალურად მიმართეს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის წევრობის განაცხადების შესახებ მოსაზრების წარმოსადგენად.[66] **ამ პროცედურულ გადაწყვეტილებას, საიას აზრით, დიდი სიმბოლური დანიშნულება ჰქონდა, რადგან ამით საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურის მნიშვნელოვანი ეტაპი ოფიციალურად დაიწყო.**[67]

15 მარტს საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ რეზოლუცია მიიღო.[68] მასში საუბარია საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზე, ასევე, მთავრობის მხრიდან ასოცირების ხელშეკრულების შესრულებისა და ევროპული ინტეგრაციის მიმართულებებით მუშაობის გაძლიერების მნიშვნელობაზე, რათა საქართველო ევროკავშირის წევრობისთვის სათანადოდ მოემზადოს.[69] დოკუმენტი ასევე შეიცავს მიმართვას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერებისადმი, გადადგან „საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების დასაჩქარებლად საჭირო ყველა ნაბიჯი".[70]

---

[57] "Ukraine wants to join EU. Here`s how that would work", საინფორმაციო პორტალი NPR, 2022 წლის 28 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://n.pr/36eRvgC, განახლებულია: 13.04.2022.

[58] „საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განაცხადს დაჩქარებული წესით გააკეთებს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 2 მარტი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31732611.html, განახლებულია: 13.04.2022.

[59] „საქართველო ხვალ მოითხოვს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 2 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/477045, განახლებულია: 13.04.2022.

[60] „ოპოზიცია მხარს უჭერს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარდგენას", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 3 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/477247, განახლებულია: 13.04.2022.

[61] იქვე.

[62] იქვე.

[63] იქვე.

[64] იქვე.

[65] იქვე.

[66] „ევროკომისია საქართველოს განაცხადზე შეფასებას მოამზადებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 7 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/477936, განახლებულია: 13.04.2022.

[67] „ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება: რას უნდა ველოდოთ?", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 8 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vfW82y, განახლებულია: 13.04.2022.

[68] „პარლამენტმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ", საინფორმაციო პორტალი: „Civil.ge", 2022 წლის 16 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/479613, განახლებულია: 13.04.2022.

[69] იქვე.

[70] იქვე.

მარტის ბოლოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ბრიუსელში ევროკავშირის წარმომადგენლებთან ოფიციალური შეხვედრები გამართა.[71] ის ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლას, ევროკომისარ დიდიე რეინდერსს, ევროპარლამენტარებს – ირაჩე გარსია პერეზს და მარინა კალიურანდს შეხვდა.[72] პაპუაშვილის თქმით, ამ შეხვედრებზე მან მიიღო დასტური, რომ ევროკავშირი ბიუროკრატიული პროცედურების დაჩქარებას მაქსიმალურად ცდილობდა და კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად აუცილებელი თვითშეფასების კითხვარზე მუშაობა უკვე დაწყებული იყო.[73] შალვა პაპუაშვილთან შეხვედრის შემდეგ რობერტა მეცოლამ Twitter-ზე დაწერა, რომ ევროკავშირი აღიარებდა საქართველოს წევრობაზე განაცხადს.[74] მისი თქმით, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა „ევროპულ ოჯახს მიეკუთვნებოდნენ".[75] ევროპარლამენტის პრეზიდენტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ კანონის უზენაესობა, დამოუკიდებელი სასამართლო და რეალური საპარლამენტო დიალოგი დემოკრატიისთვის აუცილებელი იყო.76 ევროპარლამენტში სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფის პრეზიდენტი ირაჩე გარსია პერეზი შალვა პაპუაშვილთან საქართველოში განხორციელებული რეფორმების, ევროკავშირის წევრობისა და უკრაინაში რუსული სამხედრო აგრესიის თემებზე გამართულ შეხვედრას [77] ასევე Twitter-ზე გამოეხმაურა.[78] მან აღნიშნა, რომ მისი პარტია მზადაა, ქართველ ხალხს ევროპული მისწრაფებების მიღწევაში დაეხმაროს, თუმცა ასევე მოელის პროგრესს დემოკრატიული რეფორმებისა და კანონის უზენაესობის მიმართულებით.[79]

VI. ევროპარლამენტისთვის წარდგენილი 2022 წლის ანგარიში ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროგრესზე [80]

2022 წლის მარტის ბოლოს გამოქვეყნდა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის მოთხოვნით გარე მკვლევარის მიერ მომზადებული ყოველწლიური ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროგრესის შესახებ. ანგარიში მოიცავდა 2021 წლის აპრილიდან 2022 წლის თებერვლამდე პერიოდს.81 დოკუმენტში მოცემული შეფასებები დაეყრდნო როგორც პირველწყაროებს (მაგალითად, კანონის ჩანაწერები, პოლიტიკური დოკუმენტები, სტატისტიკური მონაცემები, ინტერვიუები), ასევე ისეთ მეორეულ წყაროებს, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამოქალაქო

[71] „შალვა პაპუაშვილი ბრიუსელში შეხვედრებს განაგრძობს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/482767, განახლებულია: 13.04.2022.

[72] იქვე.

[73] „პაპუაშვილი: ევროკავშირი ცდილობს, წევრობის განაცხადის ბიუროკრატიული პროცედურები მაქსიმალურად დაჩქარდეს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31778351.html, განახლებულია: 13.04.2022.

[74] „შალვა პაპუაშვილი ბრიუსელში შეხვედრებს განაგრძობს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/482767, განახლებულია: 13.04.2022.

[75] Roberta Metsola, Twitter post, 2022 წლის 30 მარტი, 7:59 PM, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/EP_President/status/1509, განახლებულია: 13.04.2022.

[76] იქვე.

[77] „შალვა პაპუაშვილი სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფის პრეზიდენტს შეხვდა", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xu3Rg1, განახლებულია: 13.04.2022.

[78] „შალვა პაპუაშვილი ბრიუსელში შეხვედრებს განაგრძობს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/482767, განახლებულია: 13.04.2022.

[79] Iratxe Garcia Perez, Twitter post, 2022 წლის 30 მარტი, 6:47 PM, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/IratxeGarper/status/150, განახლებულია: 13.04.2022.

[80] ეს თავი უცვლელი ფორმით აღებულია შემდეგი წყაროდან: „საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების შესრულების შესახებ ევროპარლამენტისთვის წარდგენილი კრიტიკული ანგარიში", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3M4orb5, განახლებულია: 13.04.2022.

[81] "EP Report Critical on Georgia`s Association Agreement Implementation", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/483669, განახლებულია: 13.04.2022.

საზოგადოების მიერ უკვე გამოქვეყნებული ანგარიშები და შეფასებები.[82]

აღსანიშნავია, რომ მუშაობის პროცესში ავტორმა კონსულტაციები გაიარა საიასთან. შესაბამისად, ანგარიშში არაერთგზის მოყვანილია ორგანიზაციის შეფასებები მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და დემოკრატიულ რეფორმებზე.[83]

ანგარიშის მიხედვით, 2020 წლის აპრილიდან, განსაკუთრებით კი, 2021 წლის ივლისიდან მოყოლებული საქართველოში დემოკრატიული მმართველობის ხარისხი მკვეთრად გაუარესდა.[84] მმართველი პარტიის ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია მზარდია, შემცირებულია სივრცე წინააღმდეგობისთვის, ხოლო პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგად, დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა თანდათან დაკარგეს საკუთარი არსი.[85]

ანგარიშში ნახსენებია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და მის შემდგომ წარმოქმნილი ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რომლის გადაჭრის შესაძლებლობასაც პრეზიდენტ შარლ მიშელის მედიაციით მიღწეული შეთანხმება იძლეოდა. დოკუმენტის მიხედვით, 19 აპრილის შეთანხმება ქმნიდა საქართველოში დემოკრატიული პროცესების გაჯანსაღების პერსპექტივას, თუმცა მისმა ანულირებამ კიდევ უფრო შეამცირა ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ.[86] **საია მხარს უჭერდა 19 აპრილის შეთანხმებას, მიიჩნევდა რა, რომ მან მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის განმუხტვასა და დემოკრატიულ განვითარებას. საიას აზრით, 19 აპრილის შეთანხმებაზე უარის თქმით მმართველმა პარტიამ უარი თქვა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე.**[87]

ანგარიშში დასახელებულია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამოვლენილი ისეთი პრობლემები, როგორიცაა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ზღვრის წაშლა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მმართველ პარტიას შორის.[88] **ამ პრობლემებზე საია მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას თავის შუალედურ ანგარიშებში. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი მონიტორინგის პროცესში კი არაერთი საჩივარი წარადგინა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით.**[89]

ევროპარლამენტის მიერ მიღებულ ანგარიშში ასევე უარყოფითად არის შეფასებული არჩევნებიდან რამდენიმე კვირაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის წესის შეცვლა.[90] კერძოდ, კანონმდებლობა ითვალისწინებდა ე.წ. ანტიკრიზისული მექანიზმის არსებობას, რომლის მიხედვითაც, თუ ცესკოს წევრის ან თავმჯდომარის არჩევისას პირველ ჯერზე ვერ შეგროვდებოდა საკმარისი ხმები, კანდიდატს მეორედ (2/3-ის უმრავლესობით), მესამედ (3/5-ის უმრავლესობით), მეოთხედ (უბრალო უმრავლესობით) ეყრებოდა კენჭი. კენჭისყრებს შორის დადგენილი იყო 4-კვირიანი ინტერვალი. დეკემბრის ცვლილებების მიხედვით, ცესკოს თავმჯდომარე და წევრები აირჩევიან არანაკლებ 2/3-ით ან სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ასევე გაუქმებულია

---

[82] Hannah Ahamad Madatali, Talander Jansen, Laure Delcour, „Association agreement between the EU and Georgia: European Implementation Assessment (update)“, European Parliamentary Research Service, March, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jN09Gd, განახლებულია: 13.04.2022.

[83] იქვე, იხ. გვ. 37, 38, 39, 43, 46, 51, 52, 65.

[84] იქვე, 35.

[85] იქვე.

[86] იქვე, 36.

[87] „ხელისუფლების გადაწყვეტილება 19 აპრილის შეთანხმების ანულირების შესახებ საქართველოს დემოკრატიული განვითარების ინტერესებს ეწინააღმდეგება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3M4QQh9, განახლებულია: 13.04.2022.

[88] “Association agreement between the EU and Georgia: European Implementation Assessment (update)“, გვ. 36, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jN09Gd, განახლებულია: 13.04.2022.

[89] მარიამ ლაცაბიძე, „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მეორე შუალედური ანგარიში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021, გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EfkSw2, განახლებულია: 13.04.2022.

[90] “Association agreement between the EU and Georgia: European Implementation Assessment (update)“, გვ. 36, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jN09Gd, განახლებულია: 13.04.2022.

კენჭისყრებს შორის ინტერვალი.[91] **საიას შეფასებით, ცესკოს წევრის შერჩევის წესის ცვლილება ეწინააღმდეგება კონსენსუსზე ორიენტირებულ პოლიტიკას, გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო მეტად აღრმავებს პოლარიზაციას და ნეგატიურად აისახება საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობაზე.**[92]

ანგარიში განსაკუთრებით კრიტიკულია მართლმსაჯულების რეფორმის მიმართ. დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ, პროცედურული ცვლილებების მიუხედავად, ხელშეუხებელი დარჩა ძალაუფლების რეალური ბალანსი - სასამართლო სისტემას კვლავ გავლენიან მოსამართლეთა ჯგუფი „კლანი“ აკონტროლებდა.[93] ანგარიშში ასევე საუბარია შარლ მიშელის შეთანხმების მიღწევის შემდეგ, ამ შეთანხმების საწინააღმდეგოდ, უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნების პროცესის განახლებაზე.[94] 19 აპრილის შეთანხმებისა და ასოცირების ხელშეკრულების პირობების დარღვევით, ბუნდოვანი პროცედურისა და ხარვეზიანი კანონმდებლობის საფუძველზე მოსამართლეთა დანიშვნებმა საბოლოოდ განაპირობა ის, რომ მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები „არც მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსზე, არც სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობაზე“ არ იყო დაფუძნებული.[95] **საია ეწინააღმდეგებოდა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნების გაგრძელებას[96] და ადვოკატირებდა იმგვარ რეფორმებს, რომლებიც სასამართლოში ძალთა ბალანსის რეალურ ცვლილებას გამოიწვევდა.**[97]

ევროპარლამენტისთვის მომზადებული ანგარიში ასევე ეხებოდა 5 ივლისის მოვლენებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას, ანტიკორუფციული და დეცენტრალიზაციის რეფორმების შეფერხებას. ამ პროცესების შეფასებისას დოკუმენტი ეყრდნობოდა, მათ შორის, საიას მოსაზრებებსაც. საბოლოოდ, ანგარიშში გამოტანილია დასკვნა, რომ 2020-2021 წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი უკუსვლა განიცადა იმ დემოკრატიული ღირებულებებისა და პოლიტიკური ვალდებულებების შესრულების კუთხით, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.[98]

---

[91] ლიკა ჩხეტიანი, საინფორმაციო ბიულეტენი №29, თებერვალი, 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 4-5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xuYeyo, განახლებულია: 13.04.2022.

[92] მარიამ ლაცაბიძე, „რას (არ) უნდა ველოდოთ 2 ოქტომბრის არჩევნებისგან“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 27 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EiKQyP, განახლებულია: 13.04.2022.

[93] "Association agreement between the EU and Georgia: European Implementation Assessment (update)", გვ. 39, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jN09Gd, განახლებულია: 13.04.2022.

[94] იქვე, გვ. 40.

[95] იქვე, გვ. 42.

[96] „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა თვითნებურად და უსამართლოდ მიმდინარეობს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JEOiot, განახლებულია: 13.04.2022.

[97] „სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 21 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JEOvbf;
თამარ ხუხია, „საქართველოს მართლმსაჯულების რეფორმა - გაშვებული შესაძლებლობა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uIAlkT, განახლებულია: 13.04.2022.

[98] "Association agreement between the EU and Georgia: European Implementation Assessment (update)", გვ. 37, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jN09Gd, განახლებულია: 13.04.2022.